ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7173292

ნომერი: AR11052168

თარიღი : 08.08.2024

გაცემის თარიღი : 09.08.2024

გაცნობის თარიღი : 15.08.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ასმათის ქუჩა, N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 08 აგვისტოს №AR11052168 განცხადებით მომართა კონსტანტინე დგებუაძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6999106 ბრძანებაში ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6999106 ბრძანებით №01.72.14.036.519 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სამსახურის 2024 წლის 20 მარტის №6943403 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის აპრილიდან 2024 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6999106 ბრძანებით შეთანხმებულ კალენდარულ გრაფიკში ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევების ჩასასწორებელი სამუშაოები არ უნდა დაფიქსირებულიყო. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის გასწორებას და კალენდარული გრაფიკის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას, შესაბამისად, კალენდარული გრაფიკის ცვლილებისათვის საჭიროა განცხადება წარდგენილ იქნეს შემდეგი ნომენკლატურით: ელექტრონული განცხადებები - მშენებლობის ნებართვა - საცხოვრებელი ობიექტები - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი - განსაზღვროთ შენობის პარამეტრები, ქმედებებში აირჩიოთ მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება, ხოლო ქვექმედებებში - ვადაგაუსვლელი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებული შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2024 წლის 24 აპრილის №6999106 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.